

მწყემსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდღის ცხოვართათვის. (იოან. 10—11).
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყემდელი. მსრეთ იყოს სიბარული ცალა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვლით ჩემდა ყოველნი მამუშაონი და ტვირთ-მძიბენი და მე განვიგენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 20

1883—1896

15—30 ოქტომბერი.

გ ა ჯ ე თ ი ს შ ა ს ი:

„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვეთი 3 მან.	12 თვეთი 5 მან.
6 — — — — — 2 — 6 —	3 — — — — — 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით
 В. Кауриш. в редакцію „Мікмеши“ и „Пастыр“.

შველა სტატიები და კორრესპოდენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეჭდავთ გამოგზავნილი, ვრცელად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.
 სტატიები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

ჩადავნიისაჲს.

ასალი წლის მოახლოების დროს ეოკლეთვის გესურდა მოკუელაზარანა ჩვენის გასეთის ხელის მომწერლებთან ერთი გარემოების შესახებ, მაგრამ დღემდის როგორღაც ვერჩებოდა. დღეს ჩვენთვისაც და ჩვენი გასეთის ხელის მომწერთათვისაც საჭიროა, რომ ამ გარემოებაზე ორიოდ სიტყვა ვოქვათ და

ჩვენგან დაუმსხვრებელი სავეჯდური თავიდან ავიცილოთ. აი საქმე რაში გასზაოა: მძახლოვდება თუ არა ასალი წელიწადი, გასეთის ეველა ხელის მომწერნი წერილებს აგზავნიან რედაქციებში და გასეთებს იბარებენ. ზოგი წლის ფულს წინ და წინვე გზავნიან, ზოგი გასეთს ნისიათ თხოულობს და ზოგი გასეთის გამოწერის შესახებ სრულეითი არაფერს იწერება. დადგება ასალი წელიწადი: ჩვენი რედაქცია

ჩაქ. სსრ კ. მარკსის
 სახ. სახ. რესპუბ.
 ბიბლიოთეკა

უგზავნის გაზეთის ჰირეულ ნომრებს არა მარტო ხელის მომწერით, არამედ ძველი წლის ეგულა ხელის მომწერთაც, არა მიმსედეკლი მისსა დაიბარეს იმათ გაზეთი თუ არა. გაზეთის ჰირეული ორი ნომრის გაგზავნის შემდეგ გაზეთის გზავნა ესპობრდათ ზოგიერთთ. კაიგლიდა რამოდენიმე დრო, რედაქციას ვრთი კუთხიდან მოდიოდა შემდეგი შინაარსის წერილი: „მ. რ! ძლიერ გავეირვებული ვარ, თუ რისთვის მომისწავთ თქვენი გაზეთის გამოგზავნა ორი ნომრის მიღების შემდეგ? ნუ თუ იმდენი ნდობა არა გაქვთ ჩემი, რომ გაზეთის ფული ჩემთან არ დაგვეარკებოდათ? მართალია, დრო არ შემსვდა, წერილით მეთხოვან გაზეთის გამოგზავნა, მაგრამ არც იმას ვიფიქრებდი, რომ გაზეთის გამოგზავნას შევემტდით. ამასთანავე კიგზავნით გაზეთის ფულს და ვთხოვთ მიგზავნოთ გაზეთი. თქვენი...“ მეთრე კუთხიდან რედაქცია შემდეგ წერილს იღებდა: „მ. რ! მე მღვდლად გასლავართ ბაიანეთში, ეს ქალაქი ისეთ მიურეებულ კუთხეში არის სპარსეთის სასლვრისკენ, რომ ჩვენი კაცე სრულებით გამოურედეება. მაგრამ თქვენი გაზეთის სამუხლებით კავშირი მაქვს ეგულა ჩვენ მომხმეებთან და ხალხთან. გულითად მადლობას გწირავთ, რომ ჩემდა დაუბარებლად გაზეთი გამომიგზავნეთ. კიგზავნით წარსული წლის გაზეთის ფულს და იმედი მაქვს, რომ არ მომაკლებთ თქვენი გაზეთის კითხვას. თქვენი და სს...“ მესამე კუთხიდან რედაქცია იღებდა შემდეგ წერილს: „წარსულს წლებში თქვენს გაზეთს ვიწერდი, მაგრამ ამ წელში ჩემდა დაუბარებლად გამოგვეგზავნათ გაზეთი. უნდა მოგასწავლო, რომ ამ გაზეთების კითხვამ თავი მომაბეწრა, და საუნჯობესოდ

შეგზავნე გაზეთების კითხვას საზოგადოდ თავი დავანებო. ზოგიერთ გამოცემებს ჩვენდა უნებურთაც კვიგზავნიან, მაგრამ კარწმუნებთ, რომ არცყთს არა ვკითხულობ, ისე ფურცლებე კაუჭრელები ჰქვრინან. ვთხოვთ ამის შემდეგ გაზეთს ნუდარ გამომიგზავნით. თქვენი ჰატკივის მცემელი და სხვა...“ მეთრე კუთხიდან შემდეგი წერილი მოდის: „მ. რ! თქვენ კარგად იცით, რომ თქვენს გაზეთს მისი დაარსებიდანვე ვიწერდი. ჰირეულ წელში, მართალია, მე თვითან დავიბარე გაზეთი, მაგრამ შემდეგში რედაქცია გაზეთს მიგზავნიდა და მეც წლის დამლეუს ფულს ვაგზავნიდი რედაქციაში. ამ ბოლო დროს კი შეწევიტეთ გაზეთის გამოგზავნა და არ ვიცი, რატომ? ვთხოვთ გაზეთი მიგზავნოთ და ხვედრ ფულს თავთავის დროსე მიიღებთ“. აი კიდევ რედაქციაში მოდის შემდეგი შინაარსის წერილი: „მე მივიღე თქვენი გაზეთი, ვკანებ, ჩემ ამსანავს დაუბარებია, მაგრამ მართალი უნდა მოგასწავლოთ, რომ ჩემი გაზეთი ჩემი კურთხეგანია და სხვა რამეების კითხვის დრო არა მაქვს, და არცა მსურს. თქვენი.“ და სხვა...

ამ წერილების შემდეგ თვითონ მკითხველებისთვის მიგვინდვია, თუ რამდენათ სიძარტლე მიუძღვისთ იმ ჰირთ, რომელნიც გაზეთის გაუგზავნელობისათვის საევედურს გკითვლიან. სწორეთ ძლიერ ცუდ მდგომარეობაში ვარდებით უოველი წლის დამდეგს ჩვენ გვენათრება და გვერიდება, რომ დაუბარებლად გაზეთი გაუგზავნოთ ვისმეს, ისინი კი გვემდურინან და ფიქრობენ, რომ ჩვენ ვითომ მათზე ნდობა არა გვაქვს...

ჩვენ უოველთვის მსათ ვიუავით და დღესაც მსათ ვართ, რომ, რითაც კი შეგვიძლია,



ხელი შეუწოთ ჩვენს მკითხველებს. ვინაიდან კარგად ვიცოდით ჩვენი სამღვდლოების სი-
დარბიე, ჩვენ გახეთის ფასი იმდენად დაფა-
ცროთ, რომ ეველა მსურველს შეუძლია მისი
მოპოება. რედაქცია დიდი მადლობელიც არის
სასოკადოებისა, რომ იგი ხელს გვიწუბოს და
თანდათან უმეტეს თანაგრძნობას გვიცხადებს.

ზირველი ამა ოქტომბრიდან ჩვენი გამო-
ცემა გადადგა მეთოთხმეტე წელში. ღვთის
შეწევნით ვაცხადებთ, რომ გახეთსე ხელის
მოწერა დაწებულა მოძავალი წლისათვის,
სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სასოკადოება
ჩვეულებრივ თანაგრძნობას და სხეობრივ დახ-
მარებას აღმოგვიჩენს. ეველას სახეში უნდა
ჭქონდეს, რომ რედაქცია გახეთს კარდა ამ
გახეთისავე საშუალებით ავრცელებს სასოკა-
დოებაში მრავალ სარწმუნოებრივ და სხეობ-
რივ შინაარსის წიგნაუებს.

ხელის მოწერა მიიღება დაბა უვირილში
თვით რედაქციაში, ქუთაისში რედაქციის სტამ-
ბაში; თბილისში-წერა კითხვის გამავრცელებელ
სასოკადოების წიგნთ-საცავში. რედაქცია უძო-
რჩილესად სთხოვს ეველა ხელის მოწეროთ,
რომელთაც ჯერ კიდევ წარსული წლის გახე-
თის ხეიდრი ფული არ შეიმოუტანათ, დაუ-
ქარონ ფულების გამოგზავნა.

მოძავალი წლისათვის გახეთი დაბარბე-
ლად არავის არ გავეზავნება. რედაქციისათვის
საკამო იქნება სურვილის განცხადება დია
წერილითაც; ხეიდრი ფულის გამოგზავნა მსურ-
ველს შემდეგშიც შეუძლია.

მოძავალი წლის „მწვემის“-ს ხელის
მოწეროთათვის საჩუქრად ვინებავთ გუჯრებს,
რომელიც ძეგრებულა შროფესისარის ბ. ს.
სახანაშვილის მიერ და გამოცემული „მწვემის“-ს
რედაქციისაგან.

რ. დვი. დ. ლამბაშიძე.

„ჩემი სკოლის“ გამო.

მე მინდა ადვიწერო შინაგანი და გარეგანი წეს-
წყობილება სკოლისა და ყველას ნება აქვს ჩემი
შეცდომა გაასწოროს, ბძ.ნებს მ. ალექსი. უერად-
დებოთ გადავთვალიერე მ. ალექსი მარანიძის
წერილი, რომელიც სკოლის აწერას იწყებს
ამაიართ: «სასწავლებელში დაწესებულია „დე-
ქურნობა“ ემაწავლებისა და სხვა... ასეთ ნაირი
სკოლის აწერა დიდი საუერადდებო არარის მკით-
ხველისათვის, რადგანაც მორიგისობა („დე-
ქურნობა“) კოველ სკოლებშიდ არის შევადე-
ბული და კიდევ ცნობილა ყველა მასწავლე-
ბლებისაგან. უმაჯობესი იქნებოდა მ. ალექსის
აწერა თავის სკოლა სრულიად სხვანაირათ;
მით უმეტეს, რომ მას თავის სკოლის შენობა
აუგია სპეციალურად, მამასადამე მას სკოლა
უნდა აწერა ესრეთ: რან:ირ ადგილზედ სდგას
მისი სკოლა; რა გვგამაზედ არის ამენებული
სკოლის შენობა; რამოდენა აქვს სკოლის შენო-
ბას სიგრძე, სიგანე, კედლების სიმაღლე, ფან-
ჯარების რიცხვი, რომელი მხრით არის ფან-
ჯარები მოთავსებული, რა სისტემის არის სა-
მასწავლო სტოლები და რამდენ-რამდენი შე-
გირდი ეტევა თითოეულს სტოლზე, რამდენია
საკლასო დაფა, რამდენი შეგირდი სწავლო-
ბს საშუალო რიცხვით და რამდენი «გუბიერნი
ფუტი“ ჰქერი მოუღის თითო შეგირდს? საზოგა-
დოთ სკოლის მოწყობილობა ეთანახმება თუ
არა (დედაუტეგურ) კანონების მოთხოვნილებას?
აქვს თუ არა სკოლას თავისუფალი მიწა შეგირ-
დებისათვის სამუშაოთ და სხვა... როდესაც
ამაიართ სკოლა აიწერებ. მაშინ უნდა ადგნი-
შნოთ, თუ რა მეთოდათ მიდის სასკოლო
საგნების გადაცემა და სწავლება; ახალ შემო-
სუღს შეგირდებს რა უნდა გავაცნოთ ჯერ:
და შემდეგ რა რიგით აწეებიებთ «ახანსა», რა-
დრომდის არ ეძფევით ახალ მაგირდებს წიგ-
ნების და სხვა სასწავლო ნივთების ხმარების
ნება; რამოდენი იცნას ახლად შემოსულმა ბავ-
შეებმა, რომელთაც გავკეთადები შინ შიაკსთ
დასასწავლოთ; ერთი და იგივე მასწავლებელი
ერთსა და იმავე საგანში სამ განყოფილებასთან

რა რიგით მაცადინობს, რომ არც ერთი მოწაფეთაგანი უკმაოდ არ იქნეს და ყველა მაცადინობდეს? და სხვა და სხვა....

ყოველ გაკვეთილის გათავებისას სკოლის ზარი უნდა დაერეკოს! ზარის დარეკვა გაკვეთილის დასაწყისში კი საჭიროა, მაგრამ რა საჭიროა მინც და მინც ზარის რაწკუი ყოველ გაკვეთილის გათავების შემდეგ ერთ-კლასიან სკოლაში, სადაც ერთი მასწავლებელია; გაკვეთილების გათავების დროს მხოლოდ იმ სასწავლებელშია საჭირო ზარის რეკვა, სადაც ორი სამი, ანუ მეტი კლასია მოთავსებული სხვა და სხვა ოთახებში და მასწავლებელიც იძოდენა, რომ ერთად შეჩერონ მაცადინობა შევირდებიან.

«მასწავლებლის შესვლის დროს ხატის წინ სანთელი ანთონო». ჩვენა სამუცხაროდ არის ისეთი დარბიბი ეკლესიები, სადაც დვთის მსახურების დროს ერთი, ან ორი ლერი სანთელია ანთებელი წირვა-ლოცვის შესრულების დროს. მართალია, სკოლაც წმინდა ადვოლია, მაგრამ სწავლის წინ ლოცვაზედ რომ სანთელი ანთოს, სწავლის შემდეგაც ღოცვაზედაც რომ უნდა ანთოს, «ესე იგი» დეჟში ორჯელ; შესაძლებელია?

«მე არ შეეხები მას, თუ როგორ წრმატებით მიდის ამ სკოლაში სწავლა, რადგან ეს ბაქიობა იქნებოდდა». ბაქიობა მხოლოდ მაშინ იქნება, როდესაც სინამდვილე არ იქნება ჩჩვენი და რაც ნამდვილი არ იჩნება, ის გამომკარავდება, თორემ რაც მართალია, ის ბაქიობათ არ შეირიცხება. შევირდები ეკლესიაში შესვლის და ჯვარზედ მთხვევის დროს ისეთ «ტეესტებს» ხმარობენ, რომელიც თუკა უადგილო არარის, მაგრამ შეუფერებელი უნდა იყოს განუკუთარებელი ერთ-კლასიან შევირდებისათვის.

«წესიერების დასაცველად არის («სტარში») უფროსი შვიდი. შეიძლება მასწავლებელმა მიანდოს წეს-წყობილების დაცვა სწავლითა და ყოფა-ქცევით საუკეთესო შევირდს, მაგრამ ის კი არ უნდა ჩავგონოთ «რომ უფროსი იქნებიო» რადგანაც ამხანაგებში ეს უკანასკნელი გამოიწვევს უკმაყოფილებას და შეიძლება სიძულვილსაც. მასწავლებელი ერთნაირად უნდა უყურებდეს შევირდებს; არაა საჭი-

რო, ერთი მათგანი აქოს, მეორე ავიროს, ერთს გაუსწრეს, მეორეს მოეფეროს, ერთი უფროსათ აფვიაროს და სხვები დაუშორჩილოს, თორემ ასეთ შემთხვევაში უფროსათ არჩეული შევირდი თავის ამხანაგებზედ დიდათ იგრძნობს თავის თავს; მიერვეს სიამაყეს, გულ-უიცხებლობას, დიდგულობას, სიამაყარტყანვს და ისეთი უფროსობა მის ზნეობაზედ და ხასიათზედ შედეგში ცუდად იმოქმედებს, როდესაც გაიზრდება და ცხოვრებაში შევა. უჭობესი იქნება, როგორც მ. ადელქსი ას ბელებს, ისეთ შევირდს მხოლოდ გაკვრით და სხვანაირ ბრძანებითი კილოთი მივანდოთ ამხანაგთა შორის წეს-წყობილების ასრულება და ფუნქციონირება არ უნდა დავნიშნოთ, რომ შენ შენ მავთზედ უფროსი იქნეო და სხვა... ამხანაგი შევირდები ბუნებრივ გრძნობით მანც ქე მიხვდებიან, თუ რომელ მათგანს და ვაღეს თვალ-სურის დევნა, მაშინ ამხანაგები თავათ იმაცადინებენ გასწორდენ, არც თავის უფროსი ამხანაგი შეძულდებათ და მასწავლებელზედაც სხვანიირი შეხვედლობა ეჩნება... დასასრულდ არ შემ ძლია არა ვსთქვა, რომ მამა ადელქსი, შეიძლება, მცირეოდენი შემცდარია თავის სკოლის ზოგიერთ წეს-წყობილებაში, მაგრამ მანც დიდი მადლობის დირსია ყველასაგან, რომ ამოდენა შრომა იყუდა საზოგადო საქმეებში; ახალმოზარდე ექაწვილებისათვის შეეწირავს, როგორც ქიანებრივის მხრით, ეგრეთვე თავის საკუთარი შრომით. მ. ადელქსის წერილში ყველაზე უფრო საყურადღებოა, რომ ახალმოზარდე თავობას აჩვევს ეკლესიაში მსახურობას, სადმართო წერილის კთხვას, რომელითაც ხადისდება როგორც მითხვევი შევირდები, ეგრეთვე მათი მსმენელი მშობლები. ამით ამტკიცებებს თავის სკოლას თავის მიზანს, ე. ი. რომ საეკლესიო-სამრევლო სკოლას ეს დანიშნულება აქვს. მეორე საყურადღებო და სამადლობელი ის არის, რომ თავისივე ხარჯით დაუწყებია წიგნთ-საცვა სერთოთ, როგორც შევირდებისათვის, ეგრეთვე თავის მრევლისათვის. სასურველია, რომ ასეთი მოდევნე და ქველმოქმედი მამები გვრცელებულიყოს ჩვენს ეპარქიაში.

მღვიმის საეკლესიო სამრევლო სკოლის მასწავლებელი ბესარიონ ვაშაძე.



კახსნა და კუროსხევა ს, ბანძაში ორ კლასიანი საეკლესიო სამრევლო სკოლის,

სექტემბრის თვის 19 მისი ყოვლად უსამღვდელოესობის, გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსის გრიგორის თანდასწრებით ბანძის წ. გიორგის ეკლესიაში საღმრთო ლიტურგია შესრულდა მცირე აიაზმის გარდახლით ზემოხსენებული სასწავლებლის ხელმძღვანელმა, ბლაღოჩინმა ან. კეკელიამ იმავე და მახლობელ ეკლესიათა სამღვდლოების თანამშროველობით და თანდასწრებით ეპარქიის საეკლესიოსამრევლო სკოლათა მეთვალყურის უ. თ. დ. ჟორდანას, სენაკის მახრის სამასწავლებლო რჩევის განყოფილების თავმჯდომარისა და იმავე განყოფილების წევრთა. შემდეგ საღმრთო ლიტურგიისა, რომელზედაც გალობდა ქართული გუნდი მგალობელთა და სადაც დაესწრო აღტაცებულის სიხარულით აუარებელი ხალხი. მისმა ყოვლად უსამღვდელოესობამ, ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ შესრულა ლიტანია სკოლის შენობამდე «მეფის ლოცვის» გალობით და გარდაიხადა დაწესებული სავედრებელი გალობა «წინეთ სწავლის დაწყებისა», რომლის შემდეგ წარმოთქმულ იქმნა მრავალ-გამიერობა სამეფო სახლისა, უწმიდესი სინოდისა, მასთან დაარსებულის სამასწავლებლო საბჭოსა, უწმიდესი სინოდის ობერ-პროკურორის ბ. კონსტანტინე პეტრეს ძის პოზედონოსევისა, მმართველთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთათვის. შემდეგ ცერემონიისა ყოვლად სამღვდელო გრიგორიმ შეკრებილი შაგირდები აკურთხა ჯვრითა და მაცხოვრის ხატითა და სკოლის დროებით შენობის, შაგირდების და დამსწრეთა სხურების შემდეგ, წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც განმარტა, თუ რას გვასწავებს ჩვენ ღმერთ-მასწავლებელი და უჩრბა შაგირდებს, რომ მაცხოვრის სახის შეხედვით იკონებდნენ ხოლმე ყოველთვის მის სწავლას და ნიადაგ შეუსუსტებლად ასრულებდნენ მას. მასწავლებელთა და შაგირდების მშობელთა უთხრა აგრეთვე სიტყვა, რომელშიაც განმარტა ის აზრი, თუ რამდენათ ვალდებულ არიან ისინი ღვთის წინაშე იქონიან მკაცრი მხედველობა თავიანთ შვილებს ჩნეობით აღზრდაზე და ამიტომ მშობელნი მოვალენი არიან შეაჩვიონ შვილები სკოლის გარეთაც ლოცვას, თავიანთ კეთილის მყოველთა და განსაკუ-

თრებით ხელმწიფე იმპერატორისათვის; რომ ქართველს ერს სწყურია სწავლა და ჰსურს, რომ ეს სწავლა იყოს „არა ამა ქვეყნისაგანი, არამედ ქრისტეს მიერი“; ჰსურს, რომ ბავშვებს აძლიონ ნოყიერი საქმელი და არა დამპალი და სხ. შემდეგ ამისა ბლაღოჩინმა კეკელიამ მიიწვია ყველა საპატო პირები თავის ბინაზე სადილათ. სადილზე პირველი საღვდგრძელი იყო სამეფო სახლისა, მეორე უწმიდესი სინოდისა, მესამე უწმიდესი სინოდთან დაარსებულის სამასწავლებლო საბჭოსა, შემდეგ მისის მეუღვების გრიგორისა და სხ. და სხ. სადილზედაც წარმოსთქვეს შემთხვევის შესაფერი სიტყვები უ. თ. დ. ჟორდანამ, თ. მელქისედექ ფილავამ და სხვებმაც. როგორც დაგვარწმუნეს, თ. მელქისედეგ ფილავას მეუღლედარაის უკისრნია დაარსოს ამ სკოლასთან უფასოდ სამკითხველო და ფონდიც, ჯერჯერობით, 300 მანეთამდის შეუდგენია. ღმერთმა ინებოს, რომ ამ ქეშმარიტად ღვთისწიერის და სხვა საზოგადო საკეთილო საქმეშიაც გამოჩენილის პირისათვის წაებამნოთ სხვებთაც.

მ. კ. დანელია.

ყოვლად ყოველსა შინა.

ვისით სწარმოებს ეგ ქვეყნის ბრუნვა? (მე არ ვკითხულობ მიწის ტრიალზე), სიღვან გაჩნდება ჭირი და ურვა, როდესაც ჩვენ ვსჯით რამ სიხარულზე?

როს ვეგებებით ჩვენ მოსალოდნელს, მოულოდნელი მას წინაუტსურებს, ვინ ბაღებს მგ გზას უკვლევებს და ძნელს? მიკირს, რომ თვალი მას ვერ უტურებს.

მეუბნებიან: ბუნებაში სდგას, ის ერთი ძალი მიუწლომელი, რომ ვერ ვიპოვნით ადვილად ჩვენ მას, ვინც უნდა ვიყვნეთ ბევრის მცნობელი.

ეგე რა არის, ძალი რას ქვიან, ჩვენ ხომ ბუნების ღვიძლითი ძმა ვართ, ურთი-ერთისი ამით გვიცვნიან, ჩვენ ვართ მისდამი ის ჩვენდა მომართ.

მისგან ვლებულობთ, ჩვენგან მის გააქვს,
ამით სავსე ვყოფთ თემის საწყაულს,
მაშ რათ არ ვიცით, ჩვენთვის რაც მოაქვს,
განა ვერ გვაძენეს სიღრმეში დაცულს?

ნუ თუ სხვა იჭერს მოსვლადთ სადავებს?
მაშინ, როცა ჩვენ სიხარულით ვრბით,
ვიღაც გვაყენებს, სავანს გვისხავებს
და სურვილსა მის ვეღარა ვწვდებით.

ნუ თუ სხვა იჭერს ზღვასა ბუნების?
რომლის სიერცეში თვით ნების საკით
წინამძღოლია მისი სავსების,
მუნ იზრდებიან მისივე ნიჭით.

განა ჩვენ გეტყვნის ეგ ბრუნვა ქვეყნის?
ჩვენს სიხარულსა ნაღვლით გვიზავებს?
გულს გვიიმედებს, საცთურითა ღრღის?
მოცემისთანვე უკანვე გვტაცებს?

აქ რაღა დარჩა კაცის სიცოცხლე?
ამპარტავანი, ხორცის დიდება?
ბუნების ზრდილი, ბუნებისა მხლე,
თან აღყვავების თანვე თუ ქანება.

უეჭოდ არის ვინმე მმართველი
ბუნებისა და მისივე ძალის,
ამას უჭირავს ხელში ყოველი,
ჩვენ ვართ გზად, ოდენ გარდამაჟალის.

ვიცოდე, მაინც, უზესთავისი,
ვინ არის იგი, რომ დიდ ბუნებას
უბრძანებს, ვითა უძლიერესი,
და ეგ ასრულებს ყოველს მის ნებას.

მეცნიერება ქვეყნიურთ კიბით,
შეუღდა ამას გამოსაკვლევად,
თუმც მოეჩვენა მკირე ცნობებით
მაინც შორს დარჩა, სჯად განსაღვლად.

მის ძიებაში გულსმოდგინება,
ცურავს სხივსა და ნათლის მორევში,
ცოტასა ჰპოიებს და დასუსტდება,
რჩება უცნაურს რამ ნაპარღებში,

და ზოგსა ახიზს ტბა სიბნელისა
უფსკრული იგი, თვით უღიმინაო,
ანუ იჭერს მას კლდე სიბნელისა,
უგზო, უღვლე და უსამანაო.

ვიცოდე მაინც ეგ საშინელი,
სად არის იგი, სადაა აქვს ბინა?
ამას იპოვნის მისი მძებნელი,
რომელ არს ყოვლად ყოველსა შინა.

დავით გიორგის ძე დადიანი.

ახალი ამბები და შენიშვნები.

ჩვენ შევიტყვეთ, რომ თბილისის სასულიერო
ოთხ-კლასიანი სასწავლებლის მასწავლებელი ბ. გი-
ორგი სამაგელიშვილი ბერათ მიღის.

* *

ბ. მაშინაიშვილი, რომელმაც წელს დაასრულა
სწავლა მოსკოვის სასულიერო აკადემიაში, მისიონე-
რად დანიშნა ბათუმისა და აფხაზეთის კუთხეებში.
სწორეთ ძლიერ მოსაწონი და სასიამოვნო არის
სასულიერო მართებლობის განზრახვა, რომ მაშინაი-
შვილი, როგორც ერის კაცი, მისიონერად იქნა და-
ნიშნული.

• •

ჩვენ შევიტყვეთ, რომ იმერეთის ეპარქიის მმარ-
თველს ყოვლად სამღვდელო ბესარიონს ცნობა
მიუღია უწმ. სინოდისაგან, რომ ჩინოღიკი პრავედ-
ნიკოვი იგზავნება ქ. ქუთაისში ქუთაისის სასულიერო
სემინარიის შენობის საქმის შესახებო, რომელიც კიდევ
მოვიდა.

* *

სასულიერო უწყებებს განუზრახავს დაარსოს
ყველა ეპარქიებში, სადაც დღემდის არ ყოფილა,
ისტორიულ-სტატისტიკური კომიტეტები. კომიტეტის
წევრებათ დანიშნულ იქნებიან ადგილობრივი სასუ-
ლიერო სემინარიების და ოთხ-კლასიანი სასწავლე-



ბლების მასწავლებელნი და აგრეთვე მღვდლები, რომელთაც მიღებული აქვს უმაღლესი სასულიერო განათლება.

* *

ამას წინათ მოსკოვში გარდაიცვალა ფ. იაკ. ერმაკოვი. განსვენებულს დაუტოვებია ანდრძი, რომლის ძალით, როგორც ვაზეთი „კავახი“ გვაცნობებს, დადგენილია, რომ განსვენებულის და მის მონათესავეთა სულის მოსახსენებლად ხუთი წლის განმავლობაში ღლიდგან ფ. იაკ. ერმაკოვის ვარდაცვალებისა 150,000 მანეთი უნდა მიეცეს ორმოცდაათ უღარიბეს ახლად დაარსებულ ღვთაა მონასტრებს, თითოეულს 3,000 მანეთი იმ პირობით, რომ ეს თანხა ხელუხლებელი იქნეს და სარგებელი მოიხმარონ მონასტრის სასარგებლოდ 30 მანეთის გარდა, რომელიც უნდა მიეცეს მონასტრის მღვდელ მოსამსახურეთ. 200,000 მანეთი დაუტოვებია ასი სოფლის ეკლესიებისთვის, განსაკუთრებით იმისთანა ეკლესიებისათვის, რომელნიც დახურულ იქმნენ სხენებული ეკლესიების სამრევლოთა სხვა ეკლესიებზე მიწერისა გამო და დამწვარი ეკლესიების განსახლებლად, რომ მათში მუდამ სრულდებოდეს წირვალოცვა. თითოეულ ეკლესიას დანიშნული აქვს 2,000 მანეთი. იმ პირობით, რომ ამ ფულის სარგებელი იხარჯებოდეს ეკლესიის საქიროებისათვის, გარდა 25 მანეთისა, რომელიც უნდა მიეცეს ეკლესიის კრებულს განსვენებულის სულის მოსახსენებლად. განსვენებულის ვებერთელა სახლი მოსკოვში ნანადერძევი აქვს მის მუელლას იმ პირობით, რომ მასში დაცულ იქმნეს ის წესი, რა წესიც არსებობდა სხვა და სხვა ეკლესიებისა და მონასტრებისათვის ფულის შემკრებელთა შესახებ სხვა და სხვა ქალაქებიდან მოსკოვში მოსულით.

აი ნამდვილი ქრისტიანული შესაწირავი.

* *

თფილისში გამოვიდა ყოველ დღიური ქართული გაზეთი „ცნობის ფურცელი“ ბ. ვ. გუნის რედაქტორობით. ვაზეთის პროგრამა შემდეგია:

1) რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოს ტელეგრაფები. 2) მთავრობის განკარგულებანი; 3) ქალაქის და პოლიციის ამბები, ცნობები საღვთისწაულო ღვთების, ბაღების, სპეკტაკლების და კონცერტების შესახებ, რომელნიც გამართული იქნებიან საქველ-მოქმედო მიზნით.

4) ცნობები ბირჯის და ბანკების შესახებ, კლენდა რული ცნობები, ამიერკავკასიის რკინის გზის მიმოსვლა, რუსეთის საზოგადოების გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ, სიები იმ საქმეებისა, რომელნიცა დანიშნულნი იქნებიან განსახილველად თბილისისა და სხვა სამსაჯულო დაწესებულებათა შინა და ამ საქმეების შესახებ მოკლე დადგენილობანი, სიები იმ საქმეებისა, რომელნიცა განხილულ უნდა იქმნეს ქალაქის საქველ-მოქმედო ჭ საზოგადო დაწესებულებათა შინა და ამ საქმეთა შესახებ მოკლე დადგენილობანი, საწრავაგე და სხვა საგნების ნიხრი, მიმოსვლა მოსამსახურე და საზოგადო პირთა, სია იმ ღებუებისა, რომელნიც დანიშნულებისა მებრ არ იქნებიან მიღებულინი.

5) ცნობები გიგინის, მედიცინის და სასოფლო მეურნეობის შესახებ.

6) სახელმწიფო და კერძო განცხადებანი.

ვაზეთი წლით ღირს 6 მანეთი, ხოლო ნახევარი წლით 4 მ.

ამ პროგრამისაგან სჩანს, რომ ბ. ვ. გუნის ნება არა აქვს, თავის გამოცემაში ადგილი მისცეს რაიმე სალიტერატურო და საპოლიტიკო მწერლობას. და ის ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები კი, რომელნიც ამ ახალ გამოცემაში იბეჭდებიან, მსურველთა შეუძლიათ ყველა დღიურ გამოცემაში წაიკითხონ.

* *

ჩვენ ნამდვილად შეგიტყვეთ, რომ მომავალი წლიდან თბილისში გამოიცემა ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო ვაზეთი, რომელსაც სახელად „წყარო“ ერქმევა.

* *

სწორეთ საკვირველი და ახირებულია ვაზეთი „ახალი მიმოხილვის“ ამბები იმერეთის ეპარქიის საეპისკოპოსო კანდიდატების გამოცხადების შესახებ. აგერ სამჯერ გამოაცხადა ამ ვაზეთმა სხვა და სხვა კანდიდატები იმერეთის ეპარქიის კათედრაზე. რედაქციის მხრით ძლიერ დიდი შეცდომაა ასეთი ცრუ ამბების გამოცხადება იმისთანა საპატო პირების დანიშნის შესახებ, როგორც არის ეპისკოპოსი. სრულებით დასაჯერებელი არ არის ის ხმები, რომელიც ამ ვაზეთმა გამოაცხადა არქიმანდრიტის ლეონიდის და არღონის სემინარიის რექტორის შესახებ.

კონების სალარო.

ვისაც სხვისი ლაპარაკი კარგად არ ესმის და სხვის კითხვებზე რიგიან პასუხს ვერ მიუგებს, იმას მუსიაიფიც არ შეუძლია.

ხალხის ყველა უბედურობაზე მეტა უბედურობაა, როდესაც მას კარგი კანონები, კარგი პრინციპები და კარგი წეს-წყობილობა არა აქვს...

არასოდეს კაცმა ბოროტება არ უნდა ჩაიდინოს თუ გინდ ამ ბოროტებით რაიმე კეთილ საქმეს დიდათაც რომ ეხმარებოდეს.

საზოგადოების სიკეთე კანონია ხელმწიფეთა.

ვინაიდან ყოველივე ქვეყნიერი კეთილი წარმავალია და იკარგება დროის უფსკრულში, ამისათვის ნივთიერი სიკეთე ძლიერ მცირე ყურადღებას იმსახურებს.

ხელმწიფის ყურადღება ძნელი მოსაპოვებელია, მისი მოპოების შემდეგ ამ ყურადღების დაცვა მრავალ შრომას ითხოვს კაცისაგან, მაგრამ დაკარგვა ამ ყურადღებისა ხშირად კაცს მიიყვანს თავ გამეტებაშიდისინ.

კეთილ დღეობა ხალხთა იბადება მათსავე საკუთარს ნიადაგზე.

უფლება კეთილის მყოფელისა არასოდეს არ იკარგება. კეთილის მყოფელობა კარგავს თავის უფლებას, როცა იგი ბოროტად იქნება მოხმარებული. კეთილის მყოფელობის სახელი მხოლოდ მას ეკუთვნის, რომელიც ნიადაგ კეთილ საქმეს ჩადის.

კეთილისყოფა ისეთი თესლია, რომელიც ხშირად უმადურობას აღმოაცენებს.

კეთილისყოფის ღირსი მხოლოდ ის არის, რომელსაც შეუძლია მადლობის გარდახდა.

შეგიძლია დაიფიქრო შეურაცხება, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაიფიქრო კაცის სიკეთე-მოწყობა.

საქართველოებს

ძველი დროს თავგადასავალი, (საინსტორიო მასალა).

გაგრძელება *)
ლომნი ქართველნი და მეფე სოსლან სდგან ხმალს სცემენ თათართ სიმრაველს ხშირ-ხშირად უფრო და უფრო მოდიან თათართ სიმრავლე მკმა-შესკრებულად მისივე მფობრებით შესჭირდნენ მხენი ქართველნი ცოტად შეიქმნენ როს ნახა სარდალ ამილბარ მეფის გუნდის შერქივებასა იხილა სოსლანს უყოფდა თქმასადა მცირედ სდგიო კვალადცა მეფის გუნდსა ცოცხალად ცე კახ თუშ ფშავნო ხეგსურნო მოჰყვები ჩემსა ხმასადა.

რა ზაქარია ხმა უყო მეფისა გუნდსა ქებულსა შეჰკივლეს ცხენი დაქსლეს ვისა ნახევდი კლემულსა მიმართეს მარჯვნივ თათართა უყოფდენ ცეცხლსა მებეულსა მესივე დაფირწეს ხალიფას ჰყოფდენ დიდ გავზილეთ ბულოს.

გაიქცა ამირ ბუბაქარ ჯარი უჩანს თვით იხვრთა

*) იხ. „მწყემსი“ № 19, 1896 წ.



თუ ღმერთი კაცის შემწეა ბევრს ცოტა ყოველთვის
ერია

მეფის თამარის მღვდელიდა წირვის არს შემწირველია
როს სთქვა შიშითა ღვთისათა, ზე არის ამხედველია.

მყის ანგელოზი ეზარაზა მღვდელსა მასმეტესს
მწირველსა

მე გაუწყებო ღვთისაგან ხმას ზეცით მომბრწყინვალესა
აწ განუცხადე თამარსო მას ჩემსა შემწყნარებელსა

ქართველთა სძლესო ჰგვიანანო მტერთ-ზედა ჰურთა
მღეწველსა.

მღვდელმან მსთქვა მეფეე ვახარებ მე დიდსა
სინაურულსადა

მეცა მეუწყა ზეცილიდან გრქაუე ანგელოზის თქმულ-
სადა

მეფემან სძლია სპარსთა მათ მიხედე ღვთისა ქმნულ-
სადა

ქართველთა დარჩათ ძღვეანი, სიტყვასა გკადრებ
სრულსადა.

მოვიდა მახარობელი ოდეს წირვა დაესრულა
მან წიგნი მეფეს მეფისა მოართო და ესრედ ქმნულა

სე მეფეო აგართ ძალი ღვთისა ხელით დაესრულა
ბრძანებანი კვალად თქვენი დავით სოსლან ალას-
რულა

აწ ნახეთ მეფე თამარდა ღვთისადმი ვითა ხა-
რობსა

ეკლესიათა შეამკობს წირვა. პარაკლის მკმარობსა
ქართველთ გლახათზე ქვრიობოლთ გაცემის არა
ზარობსა

თამარს უხარის ღმერთიო ჩემზედა უფროდ დარობსა.
კვალად ვახსენათ მეფე და სოსლან არს მტერ-
ზე იანად

აწ ზაქარია სასახტეი მტერთ ექმნის მარად ზიანად,
მოჰყვანდათ ქართველთ ტყვენი და ნაშოვარ ალა-
ფიანად

ოქროს სიმრავლე ვერცხლისა სთვლიდიან ათ დანგი-
ანად.

ბუბაქარისა ტახტზედა სოსლან მეფე ზის ხა-
ფითა

შექმნეს ნადიმი დიადი ლხინი ჰყვეს ქოსით და-
ფითა,

მოასხეს თათართ ტყვენიდა მოღლები დასხეს სათვითა
მათ საქმლად ღორი მოართვეს აძღეს მის წვენის
ქაფითა.

ამ დროს მოართვეს მეფესა ბაღლად ხალიფას
ბროშები

ბიარახები სულტნისა სხვათ არაბთ ქურთთ ბაყრაყები
ეგრეთვე თათართ ამირნი სარდალნი დიდი ხანები

მათცა აჭმევენ ღორის ხორკს მაჰმადას შენამქირებთ.
მოიხმო სოსლან მეფემან ვისთვის ჰყვეს ქართ-
ველთ ომი

იგ საზნი შემოხვეწილნი ბუბაქარისა ძმებია
აჰა მამული თქვენიო თქვენდაო ნაბოძებია

იგინი სოსლანის წინა თაყვანის იყენენ მხმობია.
განაგნო სოსლან მეფემან მუნებურთ საქმე
სრულობით

წარმოემართა ქართლისკენ დიადი ქტევა მკულობით
ომ გარდახდილთა ქართველთა ვერვის ნახველი ლუ-
ლობით

აწ თამარმეფე მასპინძლობს ურასა ჰყოფს მძიმედ
მკულობით.

თამარს მოხსენდა მოდისო სოსლან და ამირ
შეგზულნი

ამირ იმერნი სერ-კახნი ჩვეულად დარაზმებულნი
მეგრულ აფხაზნიც მათ თანა ცოტა სიკვდილით
კლებულნი

მათ თამარ წინა ეგება შეიქმნენ განშვენებულნი.
მოვიდა სოსლან გარდახდა ამირ მასთანა მსვლე-
ლია

მეფისა თამარის წინაშე არიან მიმლოცველია
აჰაო მეფე ბავრაყი გვეო ღმერთმან სპარსთა მკვლე-
ლია

ხალიფასია ზედა სწერს მე ვარო მტერთა მსვრელია.
მიართმიდენ სხვასაც ბევრსა ნაშოვარსა ნივთკა-
რებებსა,

აწ ამბავსა უამბიდენ მის ომის შესაზარებსა
ღმერთი თვისისა ძალითა მტერთ ყოველთვის შეგ-
ვისაზარებსა

აწ ლხინი ენახოთ ქართველნო თამარ მეფეე ბრძა-
ნებსა.

მეფე თამარი დიადსა შეუქმნსო ქართველთ
პურობას

ამერ იმერთა მესხთადა ათაბაგთ შემოყრილობას
სერ-კახ თუშ ფშავთა ხევსურთა არაგვთქნის-ხეველთ
ყრილობას

ყოფილით აფხაზთა ხაზარით ოვსთ ჩერქეზ ლეკთა
სრულობას.

მეფემან თამარ თვისთა ყმათ უბოძა საბოძეარია
აწ მოიშალა პურობა და ლხინი საკვირველია
წარვიდნენ ჯარნი თვის სახლსა ყველანი მოხარულია



პირველად ღმერთსა მადლობდნენ მერმე თამარის
შქებია.
ღეთის-მშობელს ხახულისასა შესწირა დროშა
მკობილი,
ხალიფას შენის ძალითა გულით ცვათ ლახვარ სო-
ბილი,
ეს შევიწირე ჩემ მიერ კვალად მტერზე მყავ სწო-
ბილი
მას შემადიდრე, ქალწულო, ვინც არის შენი შობილი.
აწ თამარ მეფემ დროშაი ხალიფას ნაქონებია,
შემაგო თვლით და ოქროთ ძვირათ არს ნაფასებია,
მარაღიღტ დაუფასები, თვისივე ნაშოვრებია,
ზედ იამბიკო თვით სწერა ოცდა ხუთ სტრიქონებია.

ი ა მ ბ ი კ ო .

ცასა ცათასა დამწყები ღმერთ-მთავრობა,
ძე საუკუნობს პირველვე და კვალადცა,
სულმან ღეთისმან სრულ ჰყო აროდეს ქმნადი,
სამებით სრულმან ერთითა ღმრთაბითა
და მიწით პირველისა პირმშოისა კაცისა.
შენ მიერ მისთვის, დრკუისა მის განშეგბი
როს დრკუი მისდრკა უფენბი ნებისადმი
ივნო და ვნება პირველი უფენებელ ჰყო
შენგან შობილმან, ჩვენ ღირს-გყენა აღმოშობად
და ბნელით ნათელსა, ნათლითა მხედველობდა.
შენგან ქალწულო რომელსა შენგან დავით
როაკვიდა ძისა ღეთის ძედ შენდა ყოფად
მე თამარ მიწა ესე შენი და ამერვეც
ცხებულეძასა ღირს მყავ და თვისებასა
და ედემ კადრად სამხრით უკვე და ჩრდილოთ.
შუა მფლობელი, ივარს შენდა ვმრთელობ
ხალიფას დროშას თანადვე მანიაცა
შეგერთე ცრო-ჰუჯულთა მოძღვრისა ღაზოდ ძღვენნი
დავით ეფრემის ძეგბრმან მოისარმან
და მოირთხნა მოსრნა. სულტანთა ათაბაგი.
ირანრ ებრძოლნეს ჩვენ მიერ სპათა მისთა
ჩვენნი მხედარნი მოსაენი შენნი სძალო
მოსწყლნეს მოასწყენდნეს აგარის ნათესავნი
მუნით მოსრულთა ნიჭთავან ერთსა ამას
და შენდა შევსწირავ მიოხე ძებბრ ღმერთო..
იშვებდა მეფე შემედგომად მტერ-ზედა ღეთისგან
ძღვეული

კვალადცა თურქნი მოსწყენდა, ძლიერად უწყლო
მათ გული
კარუნის ქალაქ მდგომელნი ჰყო ცეცხლის ალით
დაგული,
ვინცა გარდურჩა გაიქცნენ კნინ გაახწიეს მათ სული.
აწ გაქცეულნი თათარნი, კარუნს ვინც იყო
დგომილი
წარვიდნენ ხალიფასაკენ, მისთან მივიდნენ მსტრო-
ბილი
მას შეხევეწუნენ ერთობლივ, ერთი საქმე ჰყავ სწო-
ბილი
მეფესა თამარს დესპანი უფლინე ჩვენით ცნობილი.
შეხევეწუე მას მეფესა ყოველთვის ჩვენსა ამომწ-
ყვეტსა
შეგვიწყალოს ნულარ აგვხოცს ნურც ძვირს გვიყოფს
ამის მეტსა
შეგვირიგოს ხარკი დაეცვას ჩვენ მივართმევთ ზო-
მის მეტსა
თუ შევცოდოთ კვალად რამე ჰყოფდეს მისთვის
გარდამეტსა.
ხალიფამ ელჩი მოგზავნა თამარ მეფისა წინარე
ყოვლი ყოფილი მოხსენდა მეფე შეიქმნა მკინარე
ვმადლობ ღმერთსაო მათ ახსოვთ ქართველთა ხმა-
ლი მკინარე
ელჩსა უბრძანა მაგრეო აწ წარვედ გზასა იარე.
მიუწერა ხალიფას მას პასუხი მეფემ სრული
შემოკრიბეთ ხარკი მომცეთ მე აღარ გყათ თქვენი
აღასრულეს მეფის ნება ხარკი მოსცეს თვის ალთქ-
მული
კვალად ეგნენ თვის აღაგსა მათ შეცაქმნეს ტკბილი
სული.
აღმოსავლეთის სულტანი დიდი და განგებინი
ეგვიბრით პონტისამდე მბრძანებელ მორქმულ სვიანი
ჩარასლანისა ძე იყო ნუქარდინ სახელიანი
ვინცა თავს თვისა ღმერთად ხდის იყო ზევე დიდი
ხმინანი.

მოსვლა აღმოსავლეთის სულტანისა ჩარასლანის ძის ნუქარ-
დინისა, რომელიცა თავსა თვისსა ღმერთსა უწოდდა, და
ესე სულტანი მეფესა თამარს სძღვნობდა ძღვენსა მზაკობით,
და თამარცა შესაბამს მისსა უგზავნიდა მაგიერსა ძღვენსა. და
მან რა სცნნა თამარისა განძლიერება და თათართა ზედა

ხარკისა დაღება, მყისვე განაღო ხაზინანა და შეკრიბა ოთხასი ათასი მემომარი გულოვანი მხედრობა, და მომართა საქართველოსა ზედა, და ძალითა ღვთისათა სძლეს ქართველთა, რომელიცა კვალად ანგელოზისაგან ეუწყა ევლოვი სალოსა წირვასა-ზედა დამარცხება მძლავრისა სულტნისა, ომი ძლიერი ქართველთა და თურქთა, რომელიცა ვაჟაკთათვის საამო სასმენელ არს.

აღმოსავლეთის მპყრობელი, ნუქარდინ სულტან ხმობილი, ეგვიპტით მპყრობი ჰონტომდე, მძლავრი და ჯავრით ესებული, თავისა თვის ღმერთსა უწოდდა, ესოდენ ამაღლებული მეფესა თამარს ძღვენს ჰსძღვნობდა, გზაკვარად იყო ცნობილი.

ძღვენს უგზავნიდა მეფესა, მოკითხვას მოუვლინებდა, მეფეცა ჰსძღვნობდა მაგიერს, წიგნ კაცით წარუვლინებდა, მძლავრი სულტანი რა სცნობდა, ძალსავეთ აღირღინებდა, ვით თამარ ესე განდიდნა, თათართ ხარკს აღებინებდა!

აქნობცა მძლავრსა სულტანსა საქმენი თამარ მეფისა, სრულ აღაოხრა თათრობა, ნახმადის სჯულის მკრეფვისა აწ ხარკი იმით დააღდა, ვინც ყმანი თქვენი სეფისა, გვეწვი - რასმე გვეწვიე, ჟამთა ლამკართ კრეფისა.

რა სცნა სულტანმან ეს საქმე შეექმნა გულის შლილობა გახსნა ღიადი საუნჯე, ჰყო სპათა შემოყრილობა, ვინცა ეჩჩისო ჩემს ხმასა, ან ჩემი აღგსო ჩრდილობა, შემოკრბეს ჯარი ურისცხე, მყის ჰყავთო დარაზმულობა.

შემოკრბა სულთნის ჯარებო, ოთხას ათასი კაცო, არცა ის დარჩა სახლს-შინა, ვინც კოქლი ანუ მეცო, თავსა დაირქვეს ფოლადი, ტანს ჯაქენი ოთხი კეცო, სულტანი ბრძანებს ქართლი ვყოთ, ვით ბარა განატკეციო.

წარმოემართა სულტანი სპათა მით უამართა, მოდიან, ჰხმობენ შევალთო ოხრებდა ქართლთა მჭერითა,

მეფესა ელჩი უგზავნეს, ბაქ სიტყვა დანაბართა, ეც, სულტანი მოვალო ზემითა და ზარითა.

მოვიდა მეფეს მოხსენდა ელჩი ნუქარდინ სულტნისა,

მას სიტყვა წარმოევილინა, გასაგმირალი გულისა, მყის დაუტყვე ღმერთთო, იქმენ მაჰმედის სჯულისა, სულ დაამტვირევე ხატ-ჯავრი, თუ გწადს შერჩობა სულისა.

მოესულეარ დიდი სულტანი, მე ვარ ქვეყნის ღმერთთა,

მოდი და მეცი თაყვანი, შენ ჩემდა შემომერთია, შეიქმენ ჩემი ხარკო, სჯული ვყოთ განაერთია, ამისი მსმენი სპასპეცი შეიქმნა დანაფეთია.

ოდეს ისმინა მხარგძელმან, სპასპეტმან ამილ ბარმანდა,

მყისვე წამოდგა ელჩსა მას სილა სცა მემუქარმანდა, წადი, მოვიდეს სულტანი იკბინოს ცოფმან ძალღმანდა ვისიცა ღმერთი აჯობებს, გვრქვას ბურთმან მოედანმანდა.

წავიდა ელჩი სულტნისა, სულტანსა ჰკადრა ყოველი, უამბო ყოველი ყოველი; ვარო სიღების მშოველი, გვეკადებიან ქართველნი, ერთ-ბამად ცეცხლით მიოველი, თამარ მეფემან, მოდიო ჩვენც ხმალი გიქნათ მსობელი.

გასცა ბრძანება თამარმან, მეფემან განგებინმან, მოკბითო ყოვლინი ქართველნი, მან ენა მქვერმან წყლიანმან; შემოკრბა ყოველი სრულებით, მეფემან ხმა ჰყო სვიანმან,

გაკურთხოს, შეიღნო, ქართველნო, ქალწულმან გვირგვინიანმან,

მოვიდა სრულად ქართველნი, ჯარი გამირავლდა ხასისა, მეფეა თამარ მსინჯველი ქართველთა ბვერ ათასისა, ბრძანა, სულ რჩევით წარვიდეს მეტბოძლი არანასისა, აწ სოსლან იყოს წინ მძლოლი და სხვანი სხვათა დასისა.

სწავლა და მკაცრიერება ქრისტიანობაში და სწავლებასა და კეთილზნებობაზე.

სიჯგვა,

თქველი სულის წმიდის მოსვლის დღეს ქუთაისის წმიდის სამების საკალბო სასწავლებლის ეკლესიაში მღვდლის მიერ იანე შავლაძის მიერ 12 მაისს 1896 წელს.

„ხოლო რაჟამს მოვიდეს ნუგეშის მტემელი იგი, რომელი მე მოვაგლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ, სული კეშმარტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან ჰსწამოს ჩემთვის.“
(იოანე 15—26).

დღევანდელი დღე, „დღე მეგრგასე“, ძმანო ქრისტიანნო, აგირგვენებს და სრულო-ჰყოფს ყოველს სწავლას ჩვენის მართლ-მადიდებელის სარწმუნოებისას, ათავებს ძველის აღთქმის მოსწავებათა და იწყებს ახალი აღთქმის კეშმარტსა ცხოვრებას, სწავლას და მოღვაწეობას ქრისტეს-მაცხოვრის მოწაფეთაგან წარმატებისათვის კაცის გონების ნიჭთა, მცენიერებისა, სჯულიერებისა და სათნოების გზაზე; დღეის დღე არის თავი და ბოლო ძველის და ახლის ცოდნისა, რწმენისა და მოქალაქობისა; დღეს სრულდება მოთხრობა სახარებისა, — დღეს იწყება საქმობა სახარებისა; ეს არის დღესასწაული სიმართლისა, სისრულე ნამდვილის ღვთის-მცნობელობისა და მისის საუკუნო სჯულის გამოცხადებისა; დღეს მოველინა ქვეყანას „სული კეშმარტებისა“ და აუწყა მიუწოდებელი საიდუმლო სამებისა, მამისა და ძისა და სულისა წმიდისა — და აღსრულდა მოციქულებისადმი დაბარებული „ნუგეში“ მაცხოვრისა: „მე მოვაგლინო თქვენდა მამისა ჩემისა მიერ სული კეშმარტებისა, რომელი მამისაგან გამოვალს, მან ჰსწამოს ჩემთვის“.

დღეს მოვიდა ზეცით სული ცხოველს-მყოფელი, „სწამა“, ესე იგი ემოწმა ქრისტეს მოვლინების, სიტყვის და ღვთაების კეშმარტებას, ნუგეში სცა

მორწმუნეთა მოპოოდინე გულსა, გაამხნევა და განამტკიცა მათი სულიერი ღონე „სულითა ცხოველითა“ და გაანათლა მათი გონება ცოდნითა უტყუელისა და საუკუნო არსების სჯულისათა, რომლის სწავლების სახაროც სასწავლებელ მისცა მათ და მოამზადა, რომ ყოველსა ერსა და ტომს თავთავის ენაზე უქადაგებდნენ, ასწავლიდნენ და „მოამწაფებოდნენ ყოველთა წარმართთა სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა“.

ძველთ, მოსე წინასწარმეტყველის ღროს შემდეგ ეგვიპტის მონებისა და „ზღვა მევსაულის გამოვლისა“ და გამოხსნისა, როდესაც სინას-მთის ძირს მოვიდნენ ისრაელნი, ამ სინას მთას შემოეხეია ბნელი ღრუბელი და „არაშური“ და შეიქნა საწინელი ქუჩილი და თან — დაუცადებელად მკრთომარე ელეა, ღმერთმა დამბადებელმა მგრგვინავის ხმით გამოუცხადა მათ „მე ვარ უფალი ღმერთი შენი, რომელმან გამოგიყვანე შენ ქვეყანით ეგვიპტით მონებისაგანო“, მისცა სჯული და მცნება მოსეს ხელით: ამის სახსოვრად და სადიდებელად დაწესდა „მეგრგასე დღე“ დღესასწაულად ღვთის განცხადებისა და სინაის სჯულის დებისა.

ახლად, წმიდა მოციქულების ღროს, შემდეგ მაცხოვრის ჰვედრებითა აღდგომისა და „კაცთა ნათესავის გამოხსნისა“ ჯოჯოხეთის მონებისაგან „აღსრულებასა დღესა მის მეგრგასისასა“, ესე იგი აღდგომიდან მეორმოცდაათე დღეს, იერუსალიმს, როდესაც წმიდა მოციქულები ყველა ერთად შეკრებილიყვენ მათ სადგომს სახლში, შეიქმნა „ზეცით ოხრა, ვითარცა მოწენა ქარისა სასტიკისა, ელვად დადავ თითოელს მოციქულს „განყოფანი ენათანი“; ვითარცა ცეცხლისანი“ და ღმერთმა საიგებამ „მოვლინებითა მამისა მიერ“, აღთქმისამებრ ძისა ღვთისა, სულისა წმიდისათა, გამოუცხადა მათ და მათთან ყოველს ქვეყანას სარწმუნოება სამებისა, — სჯული სიმართლისა, სწავლა სიყვარულისა და მცნება ძმობისა და ერთობისა, ესე იგი სრული სწავლა და საქმე განკაცებულის ღვთის ქვეყნად მოსვლისა, მამისა მისისა მიერ მომავლინებელისა და სულისა, მამისაგან გამოამავალისა. ასე დაიდვა მტკიცე საფუძველი მართლ-მადიდებელის ღვთისმეტყველებისა, — ღვთის ერთ არსებისა და სამების აღსარებისა. უწინ სინას მთას გამოცხადდა „ღმერთი უფალი ძალთა და მისცა სჯული „აღთქმისა“, მომზადებული და



დამწყობელი მისაგებელად მიცხოვრის მოსვლისა და სწავლისა; დღეს იერუსალიმს გამოცხადდა „ღმერთი სამება“, მომცემი ნიჭთა სრულთა და მისცა მორწმუნეთა, „ნიჭი სრული საუწყებელად ყოველთა ენათა ახლისა აღიქმისა“ სწავლათა მიცხოვრებისა და „სასუფიველის სჯულთა“ ქვეყანაზე დამკვიდრებისა. პირველი სჯულის დება იყო სჯული „მეუფისა ყოვლისა მპყრობელისა“ – მეორე სჯულის დება იყო სჯული სამებისა მადლითა, ღვთისა მამისა სიყვარულისა და სულის წმიდისა ნიჭთა ზიარებითა, სჯული მამა შეილობისა, სჯული განკაცებულის ღვთისა.

ორდესაც, ძველის ძველთა, კაცს განამარტანებულმა მეონებლობამ თავისი ძვირფასი ღვთაებრივი ნიჭი გონების და სიტყვიერებისა, თვით შემოქმედის საწინააღმდეგოდ, საბოროტოდ მოიხმარა, თავის საკუთარს ჭკუას და გამორჩევას დაენდო, ღვთის სამართლიანი განჩინებისაგან ბაბილონის ვოდოლში „შელტოღვ“ და დამალვა დააპირა და ცოდვის კითხვისაგან ამ „ხერხით“ ვაღარჩენა განიძრახა, მაშინ განგებულებამ მათის საღანაშაულო ერთობა დასაჯა „ენის შეცვლით“. უგნურო სიამაყე დაშალა და მათგანვე ერთი მეორის გაუგებრობით დააბნია, როგორც დაიშლება და დაიბნევა ხოლმე ყოველი უმგვანი, უსულმართი ერთობა, არა კეთილისა საქმისათვის განზრახული.

დღევანდელ დღეს კი ძვირ უხსენებელმა ღმერთმა მოხედა შენდობით და მოწყალეობით ენითა და სჯულთითა დაცალკალკევებულს კაცობრიობას, მოუწოდა „ერთობასა სარწმუნოებისასა და ზიარებასა სულისა წმიდისასა“ ერთის ღვთაებისა, ერთის სჯულისა ერთის აღსარებისას მრავალი ენების საშეალოდობით, რომელთა ცოდნა მიმადლა მოციქულებს და ამ სახით ამცნო „ყოველთა ტომთა ქვეყანისათა თავ-თავისის ენით- ერთობა, ძმობა და აღშენება სწავლითა სახარებისათა, დაანახვა განსაკვირვებელი ძალი სარწმუნოების სასწაულისა, სასოების ნუგეშინის-ცემისა და სიყვარულის სუფივესა, ქრისტეს მოწაფეთადმი მოვლინებული ცხადად ყველას თვალწინ, და დაუშინა ამ მადლმა „სჯულსა სიყვარულისასა“ ათასობით და ხუთი ათასობით იქვე „ყოველთა ენათაგან“, მუნ შეკრებილთა.

ღოეს, ძმანო ქრისტიანნო, დღესასწაულია „ყოველთა ერთობისა“, ყოველთა ტომთა და ენათა

ერთი სწავლის, ერთის სჯულის აღსარებისა; დღეს შეკრებს ყოველთა, განცალკევებულთა ნათესავთა „სული ქეშმარიტებისა“ ერთად, რომ იხილონ ქეშმარიტება ღვთისა, ისწავლონ ქეშმარიტება სამებისა და მსახურებდენ ქეშმარიტებასა ერთანებისასა მშვილობითა, სიყვარულითა, ნუგეშინის ცემითა, შეწყენითა, შეწყალბობითა, ხელის აღპყრობითა და აღშენებითა ერთი მეორისა; დღეს ენითა და ეროვნებითა მრავალ-ფეროვანი კაცობრიობა მოიწვევა „ცხოველს მყოფელისა სამებისაგან“ „ერთობისადმი სარწმუნოებისა“ და სიყვარულსა და ერთდება სჯულითა, გონებისა, ნიჭითა და ყოვლითა ძალითა ერთად შრომისა და ღვაწლისათვის გზასა ნიჭთა საკეთილოდ საქმობისა, გზასა მეცნიერებისა, წარმატებისა, გზასა სრულობისა და სასებისასა სიმრავლისა ერთობითა და მრავალ-ფერობის შეხამებითა, რომლისაც დიდება და სიხარული დღეს უჩვენა ზეცამ ქვეყანას და ყოველსა ერსა და ენას გაუგზავნა მათ-მათს ენაზე მოციქული სწავლისა, განათლებისა, განახლებისა, რომ ყველამ ისწავლოს, ყველა განათლდეს, განახლდეს და მეცნიერი განათლებული, განახლებული მსახურებდეს და ასრულებდეს „ახალსა აღიქმისა“ მშვიდობისა და სიყვარულის სუფივესის ერთ-ნერთ შორის, რათა მშვიდობით განგებოდეს ცხოვრება ჩვენი.

დღეს არის დასაბამი ქეშმარიტის მეცნიერებისა და ერთობა სიყვარულისა, — და ხომ მეცნიერება განანათლებს, ხოლო სიყვარული აღაშენებს, როგორც ვესწავლის წმიდა მოციქული და თვით გამოკიდობება ისტორიისა. სარწმუნოება ღონეა, მეცნიერება სინათლეა, სიყვარული აღშენება და ამის ძალით მხოლოდის ცხოვრება მტკიცე, ის მოქალაქობა მჭიდრო, ის ცივილიზაცია ბოლო გამტანი, რომელიც არის აღშენებული სარწმუნოების ღონით, მეცნიერების სინათლით და სიყვარულის ერთგულობით.

ეს არის ნება საღმრთო განგებულებისა, დღეს ცხადად გამოსახული თვით მოციქულებზე, რომელთაც მიენდო მოციქულობა ღვთისა კაცთა მიმართ ყოველთა ერთობისათვის, მიუხედავად ტომთა და ენათა, დიდთა და მცირეთა, ქალთა და კაცთა; ეს არის სწავლა დღეს გამოთქმული სხვა და სხვაობის ჩვენებითა ნიჭთა და ძლეთა ხმარების სიკეთისა და სიავისა, საწაღმართო და საუკუღმართო ერთობისა.

პირველი ერთობა ბაბილონის გოდოლის აღმართვისათვის აუარებელის სიმრავლის მიერ შემდგარი, ღვთის სასჯელისაგან თავის დასახვევათ და სამართლის გასაყუდებელად, თითონ დაისაჯა თავისთავად არსებით და შლით, ენითა და გონებითა, დასკდა, გაიფანტა და გაქრა, როგორც ნაყოფი წინდაუხედავის აჩემებისა, განუკითხველის ენისა, შემცდარი თავისმოყვარებითა და დარჩა მხოლოდ ქუკის სასწავლებელ არაკად ჩამომაველობას. ეს იყო ავით ხმარება ნიქისა, უმაღლო ერთობა გარდამავლობისა: მეორე ერთობა რიცხვით მცირეთა მორწმუნეთა აღმართებისათვის ქეშმარტების დროშისა, წინამძღვრად სარწმუნოებისა და დასამყარებულად სიყვარულისა შეგმოსა და აღიქურა «ძალითა მღლით», განძლიერდა, განვიცრა, მოეფინა ქვეყანას და შეიქმნა უძლიველი ღვენისა და წამებისაგან, — თვით განსაცდელის სიხნელემი მან გაანათლა გონება, გააზნევა გული, აღაფრთოვანა სული სასიუბითა და სიყვარულითა, აღაშენა მტიკვე «გოდოლი» სათნოების ერთობისა, რომელსაც ვერ შესწვდა წასარღვენელად ღვარი მძღვარობისა და უსამართლობისა, ვერ შეეხრა წასლეკად წუმზე უსჯულოებისა და უმადლობისა და ვერ მიეკარა შესარყევად ნიაჟკარი გზა დაბნეულის უარისმყოფელობისა და გარემოქცევისა. ეს იყო, — ეს არის ერთობა სათნოებისა, მაღლი სარწმუნოებისა, აღშენება სიყვარულისა კეთილად ხმარება ნიქთა სულისა წმიდისათა.

ახლაც, ძმანო მართლ-მადიდებელნო, «მაღლი სულისა წმიდისა გარდმოვალსა» ჩვენ ყოველთა მორწმუნეთა ზედა, შეკრებილთა ღვთის მსახურებისათვის, როდესაც სრულდებიან წმიდანი საიდუმლონი ჩვენისა ეკლესიისა; ნათლის ღება, მირონ ცხება, ზიარება, სინანული, მღვდელიობა, ქორწინება და ზეთის კურთხევა სამღვდელო მსახურთაგან, ვითარცა მოციქულთა მონაცვალეთაგან და ამისთვის ის განკრძალავა და მოწიწება გემართებს ჩვენცა წინაშე ღვთისა, ის მყუდროება გონებისა, ის სიმშვიდე სასიუბისა, ის გუნება ლოცვისა, რომლითაცა წმიდანი მოციქულნი წარდგომილ იყვენ ღვთის წინაშე ღღვის ღღეს, მომლოდინენი ნუგეშინის ცემისა ზეგარდამო. აქედან განუშარტებელადაც ცხადია, თუ რამოდენად შეუსაბამოა და გარდამავლობა არის ამ საიდუმლოთა შესრულების დროს, მავალითად, ქორწინების, ნათვლის, წირვის და სხვათა, როდესაც განკრძალვით და

მყუდროთ: მღვამირენი უნდა მოველოდეთ გარდამოსვლასა ნუგეშინის მცემელისა და ცხოველს მყოფელის სულისა, მაშინ რომ გაისმის ხმაურობა, ლაპარაკი, ხუმრობა და სხვა ამგვარი შეურაცხება ამ დიდის წამისა, წმიდა ადგილსა და უშიდღესის აღთქმისა. ეს უფლებებელ-ყოფა მცნებათა მდღობისა და სიყვარულისა, მაცხოვრისა და მოციქულთა ნანდერძებისა არცხვენს გონებას და გრძნობას კაცისას, რომელიც «შობილ არს მაღლითა» განახლებისათა და აღბეჭდილ არს ბეჭდითა სულისა წმიდისათა» ბლაღავს სიწმიდეს, ავრილებს და რყვის გულსა და გემოს სულიერის შთაგონებისას, შლის «ერთობას და თანა ზიარებას» შეილთა ეკლესიისათა, აშორებს ერთმანეთსა რწმუნეთა და მისწრაფებითა და ამით გარე ნიაქევეს მაღლსა ყოვლად წმიდისა სულისასა, რომლის გამოც მოაკლდება თან და თან ნაყოფი, როგორც სულიერი, აგრეთვე ხორციელიც, იმატებს სენი და განსაცდელი გონებითი და ნივთიერი და დარჩება უდაბურება, სიცაღლიერე სულისა და გულისა, უნაყოფობა შრომითა, «გაცოფება» და განწირულება თავზედ სულის აღების უკიდურესობათამდე მიწვენილი, რომლის მავალითსაც, სამწუხაროდ, ამ დროს ბევრს გხვდავთ და კიდევ უფრო ბევრი გვესმის.

ძმანო, შეგხედით, თუ როგორ დაირღვა ერთობა ცთომისა და სიცრუისა, აღშენდა ერთობა ცნობისა და სიმართლისა; დაეხზო ერთობა ღვთისაგან გამქცეთა, — აღიმართა ერთობა ღვთის შედგომითა; დაიქცა ბაბილონის დანაპირები, აღშენდა იერუსალიმის ნარწმუნები; გაქრა **სღაპრად** ნაცოდვილვე კაცის უნდობისა, — დაემტკიცა **სჯულად** ღვაწლი ღვთის წამებისა...

აჰა, ძმანო ქრისტიანენო, ძალი სარწმუნოებისა, მაღლი სულის წმიდისა, «გოდოლი სიყვარულისა», რომლისა მოწამე არის ღღინდელი დღესასწაული! ვილოკოთ წინაშე ყოვლად წმიდისა სამებისა, რათა დაგვიცვას ჩვენ გარდამავლობისა და მაცილობისაგან მართლ-მადიდებელის სჯულისა, სულისა ნიქთა ბიორტის ხმარებისაგან, გარდაყოლითა ცრუ აზრებისა, შემეტარი მგონებლობისა, გრძნობის — გამცივებელის უმადურებისა ღვთისა და მოყვსისადმი, რომ არა თანა ზიარ გექმნეთ ბაბილონურსა ერთობასა უკეთურებისასა და არ გამოვლსტეთ ღღვის ღღეს დაფუძნებულსა ერთობასა სარწმუნოებისასა



და ზიარებასა სულისა წმიდისასა, არამედ წმიდათ დამცველნი ნიჭთა სულისა წმიდისათა, - სარწმუნოების მადლისა, მეცნიერების სინათლისა და სიყვარულის აღშენებისათა, ერთად მსოფლიო მართლმორწმუნეთა თანა ბირნათლად ვეცდებოდეთ „სულისა კეშმარიტებისასა“ მოკემას „ნიჭთა ამათ სრულთა“ და მათს ჩვენგან ხმარებას: სჯულის სიმართლემში, მეცნიერების სინათლემში და სიყვარულის აღშენებაში და ღირსებით უგალობდეთ ყოვლად წმიდისა სამებასა სამ წმიდაარსობისა ვალობასა ამას; წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, შეგვიწყალებნ ჩვენ“. ამინ.



შეწირულებანი.

ჩვენ მივიღეთ ჟურნალში დასაბეჭდათ შემდეგი წერილები ეკლესიის სასარგებლოდ შეწირულებათა გამოსაცხადებლად:

I

„მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ ნება გვიბოძოთ, რომ თქვენის ჟურნალის «მწყემსისა» საშუალებით გულითადი მადლობა გამოუცხადოთ როგორც მე ისე რწმუნებულის ჩემდამი საჩხერის საბლალოჩინო ოლქის სამღვდელეობამ დ. საჩხერეში მცხოვრებს ბ. ილარიონ ოტაისძეს გამყრელიძეს, რომელმაც 1) საჩხერის ორკლასიან სამრევლო სკოლის სასარგებლოდ ოცდა ათი ოთხ კუთხი საყენი მიწა შემოწირა, ღირებული არა ნაკლებ ას-ორმოც-და-ათი მან. 2) ეკლესიის აგებისათვის სოფელს ქვერეთში, ჩემსავე საბლალოჩინოში, ღირებულის ორი ათას მანეთათ 3) ითხვისის ოიანენ ნათლისცემლის ეკლესიის სასარგებლოდ ორმოცდა ათი მანეთის ფულის შეწირვისათვის.

ბლალოჩინი მღ. აბ. ჩაჩანიძე.

II

„მ. რ.! უმორჩილესად გთხოვთ, რათა უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ თქვენის გაზეთის საშუალებით იმ პირთ, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ჩემდამი რწმუნებულ კურსების პეტრე-პავლეს ეკლესიას შემდეგი ნივთები და ფული. 1) ღმიტრი ნიშნიანისის ქვრივს, რომელმაც შემოსწირა ერთი შანდალი, ღირებული 9 მან. 2) ივლიტას კლემენტი არქიფოვის ცოლს, რომელმაც შემოსწირა 3 მ. ბაირაღისათვის, 3) გლ. სიმონ ნიშნიანისემ 1 მან. 4) მარკოზ ლომთაძემ 1 მან., იუსტინე ოქროპირის ძე ნიშნიანისემ 2 მან.

კურსების პეტრე პავლეს ეკლესიის მღვდელი,

III

«მამაო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენის გამოცემის საშუალებით უგულითადესი მადლობა გამოუცხადოთ დიდად პატივცემულს თავადს იასონ დავითის-ძე ციციშვილს, რომელმაც კეთილ ინება და შემოსწირა ჩემდა რწმუნებულს ქარელის ლეთის-მშობლის ეკლესიას თაღბი სამღვდელო შესამოსი, ღირებული 30 მან.

პატივცემული თაღბი ცნობილი ქველ-მოქმედაი, ღმერთაჲ ჰქნას, რომ მას აღმოჩენოდეს მიმბაძველნი ამ კეთილ საქმეში...

მღვდელი ალ. ჯაღიაშვილი.

დაიბეჭდა

და მოკლე ხანში დაურიგდება გასაცხადად ქართული წიგნების მალაზებდ ქართული სასულიერო და საერო

კალენდარი

შედგენილი ზ გამოცემული დეკ. დ. ლამბაზიძის მიერ.

ზსანი ყველგან ხუთი ზაზანი.

მიიღება ხელის-მოწერა 1896 წლისათვის ორ კვირულ გამოცემათა ქართულს

ამრო საავთმყოფო ავაზლატორიითარ

„მწუქემს“-ზე

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით	«მწუქემსია» 3 მ.	6 თვით	«მწუქემსია» 2 მ.
— „ორვე გამოცემა“	— „ორვე გამოცემა“ 3 მ.	— „რუსული „	— „რუსული „ 2 მ.

იწილება

საქველმოქმედ

თამარ-მეფის

და

უმთა რუსთაველის

სახიანი

ფოსტის ქალაქი

თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მალაჩეებში

ფურცელი თითო კაპიკად.

შარგებულა თანხიან ნახევარი ფეწუ-ება ზაპირ-სიტყვარს ფონდს და ნახევარი მოხარდება იაფ-ფასიან და ძუქთად დასარიტებულ სხაზსო წიგნ-ქმის გამოცემა.

მსურველთ მეუძლით მოიკითხონ «გვალის» რედაქცი:ში, ან დაბარონ ფოსტით დ. ყვირი-ლიდამ მიხვილ ბარამაძისაგან.

მოკლეს ხანში გამოვა სხვა მოღვაწეების სა-ხიანი ქალაქიც.

ს. ზ. თოფჩიანსი

ქ. ქუთაისში.

საავთმყოფოში დგას ორმოცი საწოლი ხირურგიულ, გინეკოლოგიურ და შინაგან სენით ავთმყოფთათვის. მუწუქებინი და გადამდები სენით ავთმყოფნი არ მიიღებინ. მოსიარულე ავთმყოფ-ნი მიიღებინ ყოველ დღე 11 საათიდან შუადღის 3 საათამდე.

შინაგან და ნერვებით ავთმყოფებს მიიღებს
მმ. ს. ბ. თოფჩიანი.

ხირურგიულ მარდით და სიფილისით
მმ. ფ. კ. გმარაბი.

დედაკაცურ ავთმყოფთა და საბებიოს ქალი
მმ. მ. ფ. კახანი.

თვალეების ავთმყოფისათვის
მმ. ი. ა. ვარშავესი.

ჩჩევა დარვიების ფსი 50 კ., კონსი-ლიუმის ფსი 3 მ. დღე და ღამე ქირა სა-ავთმყოფოში სრული სარჯით და ექიმობით 2—3 მანეთამდე. ანერჯის ფსი გარაკება-ზეა. (10—3)

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფჩიანი.

ზ ი ნ ა ა რ ს ი:

სალიტარატარო განმყოფილება: რედაქციისაგან.— გახსნა და კურთხევა ს. ბანაში ორკლასიანი საეკლესიო-სამრველო სკოლისა.— ჩემი სკოლის“ გამო.— ყოველად ყო-ველსა შინა (ლექსი).— ახალი ამბები და შენიშენები.— გონ-ბის სალარო.— საქართველოს ძველი დროის თავგადასავალი.

სწავლა და მცენიერება ძრისტიანობის საფუძ-ნობასა და კითხლ წნობაზე: სიტყვა, თქმული სული წმ. გარდმოსვლის დღეს, მღვ. ივანე შავლაძის მიერ.

— შეწირულებანი და განცხადება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლაბაშვიძე.

Редакторъ-Издатель П. Д. Гамбашидзе.

Дозволено цензурою, Тифлиси, 28 октября 1896 г. ♦ Цензоръ прот. Е. Елиевъ.

Типог. редакцiji журн. „Пастыръ“ (11. Д. Гамбашидзе) въ Гутайскъ, въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.